ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00011618

01/06/2021

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში და 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები.

მიუხედავად აღნიშნულისა, უმრავლეს ვეტერანთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, კვლავ პრობლემური რჩება მათთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“, ,,ი“ და ,,რ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული ,,ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების წესი”.

2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილე ჯანდრი უბირიას.

3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი კობა კობალაძე

ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00025420

06/08/2025

,,ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2021 წლის 1 ივნისის №SSVA 00011618 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2021 წლის 1 ივნისის №SSVA 00011618 ბრძანებით დამტკიცებული ,,ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების წესი" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე

ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00036284

27/10/2025

,,ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2021 წლის 1 ივნისის №SSVA 00011618 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2021 წლის 1 ივნისის №SSVA 00011618 ბრძანებით დამტკიცებული ,,ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების წესის”:

ა) მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ბიუჯეტის ასიგნებებიდან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდებათ იმ ვეტერანებსა და მათ შვილებს (შემდგომში - სტუდენტი), რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე საქართველოში სწავლობენ აკრედიტებულ ბაკალავრიატის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. სამსახური უზრუნველყოფს აკრედიტებულ ბაკალავრიატის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის წლიური საფასურის არაუმეტეს 50%-ის დაფინანსებას სტუდენტებისთვის, სამსახურისთვის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 2 250 ლარის ოდენობით. თითოეული სტუდენტისთვის სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასაფინანსებლად გამოსაყოფი თანხის ოდენობა, აღნიშნული წესის

შესაბამისად განისაზღვრება სამსახურის დირექტორის ბრძანებით, შესაბამისის წლის სამსახურის ბიუჯეტში წინამდებარე პროგრამის დასაფინანსებლად არსებული სახსრების მოცულობის გათვალისწინებით.";

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს პირმა (შემდგომში – სტუდენტი), რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ ბაკალავრიატის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოპოვებული გრანტი სრულად არ ფარავს სწავლის საფასურს და განეკუთვნება ამ დანართის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ იმ პროგრამულ მიმართულებაზე/მიმართულებებზე, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტებისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოპოვებული დაფინანსება სრულად არ ფარავს სწავლის საფასურს.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე

დანართი

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ხარჯების დაფინანსების ოდენობასა და პირობებს.
2. წინამდებარე პროგრამის მიზანია ვეტერანებისა და მათი შვილებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. დაფინანსების ოდენობა

1. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ბიუჯეტის ასიგნებებიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა დაუფინანსდებათ იმ ვეტერანებსა და მათ შვილებს (შემდგომში - სტუდენტი), რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. სამსახურის უზრუნველყოფს აკრედიტებული ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ორი სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსებას სტუდენტებისთვის, სამსახურისთვის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 2 250 ლარის ოდენობით.
3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, პროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება არაუმეტეს 2250 ლარამდე.

მუხლი 3. დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი

1. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს პირმა (შემდგომში – სტუდენტი), რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა და განეკუთვნება ამ დანართის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ იმ პროგრამულ მიმართულებაზე/მიმართულებებზე, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტებისა.
2. გამონაკლის შემთხვევაში, სამსახურის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მე-2 სემესტრის შემდგომი სემესტრების სწავლის საფასურის დაფინანსების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 2 250 ლარის ოდენობით.

მუხლი 4. დაფინანსების მიმღებ სტუდენტთა კატეგორიები

ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტირებული თანხის ფარგლებში დაფინანსების მიმღები პირები არიან სტუდენტები შემდეგი პრიორიტეტულობით:

ა) სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (შემდგომში - მონაცემთა ბაზა) რეგისტრირებული ვეტერანები;

ბ) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები;

გ) ომის შემდეგ გარდაცვლილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანთა შვილები;

დ) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა შვილები;

ე) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანების შვილები.

მუხლი 5. რამდენიმე კატეგორიაში შემავალი სტუდენტები

სტუდენტი, რომელიც განეკუთვნება ამ დანართის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ორ ან მეტ კატეგორიას, დაფინანსებას მოიპოვებს ერთ-ერთ კატეგორიაში, ამ დანართის მე-4 მუხლში გათვალისწინებული თანმიმდევრობის დაცვით.

მუხლი 6. დაფინანსების პრინციპი კონკურსის და თანაბარი ქულების დროს

1. სამსახურისთვის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, პროგრამაში ჩართვის უფლების მქონე ყველა პირის დაფინანსების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაფინანსება გაიცემა ამ დანართის მე-4 მუხლში გათვალისწინებული პრიორიტეტულობით, ხოლო ერთი და იმავე კატეგორიაში შემავალი სტუდენტების შემთხვევაში - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირების სიის საფუძველზე.

2. თუ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულის/ქულების ჯამი, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსება გაიცემა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებით, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

ბ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

გ) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

მუხლი 7. განცხადების წარდგენა და გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

1. ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი სამსახურში წარადგენს განცხადებას თანდართული ფორმის შესაბამისად და შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტუდენტი:

ა.ა. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

ა.ბ. სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის მოწმობის ასლი;

ა.გ. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან სტუდენტის სტატუსის, მიღებული გრანტის (ასეთის არსებობისას) და გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ;
ა.დ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები;
ბ) ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტუდენტი:
ბ.ა. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
ბ.ბ. დაბადების მოწმობის ასლი;
ბ.გ. გარდაცვლილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი;
ბ.დ. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან სტუდენტის სტატუსის, მიღებული გრანტის (ასეთის არსებობისას) და გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ;
ბ.ე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები;
გ) ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტი:
გ.ა. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
გ.ბ. დაბადების მოწმობის ასლი;
გ.გ. ვეტერანი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ.დ. ვეტერანი მშობლის ვეტერანის მოწმობის და შესაძლებლობის შეზღუდვის დამადასტურებელი ცნობის ასლი;
გ.ე. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან სტუდენტის სტატუსის, მიღებული გრანტის (ასეთის არსებობისას) და გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ;
გ.ვ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები;
დ) ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტი:
გ.ა. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
გ.ბ. დაბადების მოწმობის ასლი;
გ.გ. ვეტერანი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ.დ. ვეტერანი მშობლის ვეტერანის მოწმობის ასლი;
გ.ე. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან სტუდენტის სტატუსის, მიღებული გრანტის (ასეთის არსებობისას) და გადასახდელი თანხის ოდენობის შესახებ;
გ.ვ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები.
2. ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტუდენტის სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა ოჯახის წევრმა წარმოდგენილ განცხადებაზე ხელმოწერით უნდა გამოხატოს თანხმობა ოჯახის წევრის დაფინანსების თაობაზე განცხადების განხილვის შესახებ.

მუხლი 8. ბენეფიციარი პირების განცხადებების განხილვა-შესწავლა

1. წარმოდგენილ განცხადებებსა და დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს სამსახურის სოციალურ საკითხთა და საალრიცხვო-ანალიტიკური დეპარტამენტი.
2. სტუდენტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

მუხლი 9. თანხის ანაზღაურება

სამსახურის დირექტორის ბრძანების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი შესაბამის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, ყოველსემესტრულად არაუადრეს პირველი ოქტომბრისა და პირველი მარტისა, არაუმეტეს ერთი სემესტრისთვის.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განაცხადის ფორმა

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო
სამსახურის დირექტორს

მოქალაქე .....
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

.....
(პირადი ნომერი)
მისამართი: .....
ტელეფონი: .....

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

..... წელს ჩავირიცხე .....
(მიუთითეთ ჩარიცხვის წელი)
.....
(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა)
მივეკუთვნები სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიას: .....
.....
(მიუთითეთ კატეგორია)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიზნით.

დანართი: ..... ფურცელი.

შენიშვნა: განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება განცხადებაში მითითებული კატეგორიის მქონე პირს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია: .....
.....
.....
ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას.

თანახმა ვარ, დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, სსიპ

– შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან, სხვადასხვა სამინისტროდან და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოითხოვოს და დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

განმცხადებლის ხელმოწერა ..... განცხადების შევსების თარიღი .....

დანართი

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ხარჯების დაფინანსების ოდენობასა და პირობებს.
2. წინამდებარე პროგრამის მიზანია ვეტერანებისა და მათი შვილებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

მუხლი 2. დაფინანსების ოდენობა

1. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ბიუჯეტის ასიგნებებიდან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდებათ იმ ვეტერანებსა და მათ შვილებს (შემდგომში - სტუდენტი), რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე საქართველოში სწავლობენ აკრედიტებულ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე.
2. სამსახური უზრუნველყოფს აკრედიტებული ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის არაუმეტეს 50%-ის დაფინანსებას სტუდენტებისთვის, სამსახურისთვის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 2 250 ლარის ოდენობით. თითოეული სტუდენტისთვის სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასაფინანსებლად გამოსაყოფი თანხის ოდენობა, აღნიშნული წესის შესაბამისად განისაზღვრება სამსახურის დირექტორის ბრძანებით, შესაბამისის წლის სამსახურის ბიუჯეტში წინამდებარე პროგრამის დასაფინანსებლად არსებული სახსრების მოცულობის გათვალისწინებით.
3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა ან მოპოვებული გრანტი სრულად არ ფარავს სწავლის საფასურს, პროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება სწავლის წლიური საფასურის არაუმეტეს 50%-მდე, მაგრამ არაუმეტეს 2250 ლარამდე.

მუხლი 3. დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი

1. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს პირმა (შემდგომში – სტუდენტი), რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო ან სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან პროგრამაზე, ვერ მოიპოვა გრანტის სრული ოდენობა ან მოპოვებული გრანტი სრულად არ ფარავს სწავლის საფასურს და განეკუთვნება ამ დანართის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ იმ პროგრამულ მიმართულებაზე/მიმართულებებზე, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის

ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტებისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოპოვებული დაფინანსება სრულად არ ფარავს სწავლის საფასურს.

2. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე სამსახურის დირექტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესით დადგენილისაგან განსხვავებული პირობებით და წესით, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სწავლების დაფინანსების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 2 250 ლარის ოდენობით.

3. სამსახური უფლებამოსილია, ამ ბრძანებით დადგენილი წესით, ასევე განიხილოს და მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება იმ პირთა სწავლის საფასურის დავალიანების დაფინანსების შესახებ, რომლებსაც ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 4. დაფინანსების მიმღებ სტუდენტთა კატეგორიები

ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტირებული თანხის ფარგლებში დაფინანსების მიმღები პირები არიან შემდეგი სტუდენტები:

ა) სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (შემდგომში - მონაცემთა ბაზა) რეგისტრირებული ვეტერანები;

ბ) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები;

გ) ომის შემდეგ გარდაცვლილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანთა შვილები;

დ) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა შვილები;

ე) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანების შვილები.

მუხლი 5. რამდენიმე კატეგორიაში შემავალი სტუდენტები

სტუდენტი, რომელიც განეკუთვნება ამ დანართის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ორ ან მეტ კატეგორიას, დაფინანსებას მოიპოვებს ერთ-ერთ კატეგორიაში, ამ დანართის მე-4 მუხლში გათვალისწინებული თანმიმდევრობის დაცვით.

მუხლი 6. განცხადების წარდგენა და გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

1. ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი სამსახურში წარადგენს განცხადებას თანდართული ფორმის შესაბამისად და შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ვეტერანები და ომში დაღუპულის ოჯახის წევრები:

ა.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

ა.ბ) სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის მოწმობის ასლი;

ბ) ომის შემდეგ გარდაცვლილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანთა შვილები:

ბ.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;

ბ.ბ. დაბადების მოწმობის ასლი;

ბ.გ) გარდაცვლილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობი-სათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი;

გ) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა შვილები:

გ.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქი პასპორტის ასლი;
გ.ბ) დაბადების მოწმობის ასლი;
გ.გ) ვეტერანი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ.დ) ვეტერანი მშობლის ვეტერანის მოწმობის და შესაძლებლობის შეზღუდვის დამადასტურებელი ცნობის ასლი;
დ) სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანების შვილები:
დ.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
დ.ბ) დაბადების მოწმობის ასლი;
დ.გ) ვეტერანი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
დ.დ) ვეტერანი მშობლის ვეტერანის მოწმობის ასლი;
2. სტუდენტების მიერ განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურებასა და სწავლის წლიური საფასურისა და მიმდინარე სამესტრის დავალიანების ოდენობის შესახებ ინფორმაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვას ახდენს სამსახური, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული ფორმატითა და წესით.
3. სწავლების დაფინანსების მიღების მიზნით ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ განცხადებების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება სამსახურის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. ბენეფიციარი პირების განცხადებების განხილვა-შესწავლა

1. სტუდენტების მიერ წარმოდგენილ განცხადებებსა და დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას განიხილავენ ეკონომიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტები ერთობლივად, უფლებამოსილების ფარგლებში.
2. სტუდენტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.
3. ინფორმაციას დაფინანსების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, განმცხადებელი მიიღებს განცხადებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

მუხლი 8. თანხის ანაზღაურება

სამსახურის დირექტორის ბრძანების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი შესაბამის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

მუხლი 9. სტუდენტების ფინანსური დახმარება

1. სამსახური უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამ ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას, რომლებიც რეგისტრირებულნი არ არიან იმ მუნიციპალიტეტში, სადაც განთავსებულია მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური დახმარების ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში და გაიცემა არანაკლებ ორ ნაწილად, სასწავლო სემესტრების შესაბამისად.
3. ფინანსური დახმარების მისაღებად სტუდენტი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სამსახურში წარადგენს განცხადებას და შემდეგ დოკუმენტებს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლს;
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი – ფორმა № IV-50/4) ასლს;
გ) ცნობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ;
დ) ამ ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული სტატუსის დამადასტურებლად, ამავე ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის დოკუმენტაციას;
ე) სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემულ საინფორმაციო ბარათს (რეგისტრაციის ადგილის მითითებით), ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის შემთხვევაში - დევნილის მოწმობას;
ვ) ფინანსური დახმარების მიმღების საბანკო რეკვიზიტებს.
4. წარმოდგენილ განცხადებებსა და დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი.
5. სამსახურის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ფინანსური დამხარების მიმღებისთვის თანხის პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვას უზრუნველყოფს სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი.
6. სტუდენტს აქვს ამ ბრძანების ამ დანართის მე-2 და ამ მუხლებით გათვალისწინებული ფინანსური დახმარებიდან მხოლოდ ერთი სარგებლის მიღების უფლება, მისივე არჩევით.

დანართი

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განაცხადის ფორმა

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო
სამსახურის დირექტორს

მოქალაქე .....
(სახელი, გვარი)
.....
(პირადი ნომერი)

მისამართი: .....

ტელეფონი: .....

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

..... წელს ჩავირიცხე .....
.....
.....
(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა)

მივეკუთვნები სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიას: .....
.....
(მიუთითეთ კატეგორია, ვეტერანის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ვეტერანის კოდი)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიზნით.

დანართი: ..... ფურცელი.

შენიშვნა: განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება განცხადებაში მითითებული კატეგორიის მქონე პირს.

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას.

თანახმა ვარ, დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა ზემოაღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან, სხვადასხვა სამინისტროდან და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან გამოითხოვოს და დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

განმცხადებლის ხელმოწერა ..... განცხადების შევსების თარიღი .....

ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00026883

02/09/2026

,,ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2021 წლის 1 ივნისის №SSVA 00011618 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2021 წლის 1 ივნისის №SSVA 00011618 ბრძანებით დამტკიცებული ,,ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს პირმა (შემდგომში – სტუდენტი), რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროგრამა არ ვრცელდება სტუდენტებზე, რომელთა სწავლასაც სრულად აფინანსებს სახელმწიფო.".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი



კობა კობალაძე